საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მტირალა

მტირალა, ცისკარა, მთა ხელვაჩაურის მუნიციპალიტე-ტში, ქობულეთ-ჩაქვის ქედზე, მდ-ების – ჩაქვისწყლისა და ყოროლისწყლის წყალგამყოფზე. სიმაღლე 1381 *მ*. აგებულია შუა ეოცენურის ასაკის ე. წ. „ნაღვარევის წყების“ ვულკანურ-დანალექი ქანებით. **მ**-ს მთა აკავებს ზღვის ტენიან ჰაერს, ამიტომ მთელი წლის განმავლობაში აქ 4520 *მმ* ნალექი მოდის და ყველაზე ტენიან ადგილად ითვლება, სახელიც სწორედ უხვტენიანობის გამო ეწოდა. მთის კალთები შემოსილია წიფლნარ-მუქწიწვიანებით. მთის დას. კალთა გამოყენებულია საზაფხულო დასასვენებელ ადგილად.